სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
15.08.2011 N 86
თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
2011 წლის 2 აგვისტოს N81
ბრძანების ნაწილობრივი ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნაწილობრივ შეიცვალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2011 წლის 2 აგვისტოს N81 ბრძანების ქვემოთ მითითებული პუნქტები და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   პუნქტი 11 – ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველები ვალდებული არიან გაიარონ შესარჩევი ტური ზეპირი გასაუბრების სახით;

   პუნქტი 13 – ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებელმა (რ.ქუთათელაძე) არა უგვიანეს 2011 წლის 15 აგვისტოსა სწავლების დეპარტამენტში წარმოადგინოს საფაკულტეტო ბრძანება შესარჩევი ტურის ჩასატარებლად კომისიის დამტკიცების შესახებ;

   პუნქტი 16 – ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

2. ბრძანება განთავსდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე